კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49ბ-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

შენობა 12 სართულიანია და გააჩნია 2 სართულის დონეზე ავტოფარეხები. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოადგენს ჩარჩოსებრ-კავშირებიან სისტემას მონოლითური რკინაბეტონის მზიდი ელემენტებით.

შენობა ბეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები ღერძებში 14.7X20.12 მ-ს ტოლია. შენობას აღმოსავლეთის მხრიდან ასევე ესაზღვრება 1 სართულიანი მიწისქვეშა ავტოფარეხი, რომლის მაქსიმალური გაბარიტული ზომები 10.7X17.7მ-ს ტოლია; მიწისქვეშა სართულის სიმაღლე 2.9მ-ია. პირველი სართულის-2.6მ. მეორე სართულის-2.5მ; მესამე სართულის სიმაღლე-2.9მ-ია, ხოლო სხვა ყველა სართულის სიმაღლე შეადგენს 2.4მ-ს.

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევებიდან და შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე შენობის საძირკვლად მიღებული იქნა 1მ სისიქის რკ.ბ-ის საძირკვლის ფილა, რომლის ქვეშაც გათვალისწინებულია 100მმ სისქის ბეტონის მომზადება.

შენობის ფუძე-გრუნტს წარმოადგენს მერგელები თიხოვანი მოყავისფრო-ნაცრისფერი, არგილიტისებური თიხების შუაშრეებით, გამოფიტული, რომლის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს: **R**c=1,81 მპა.

შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი დაფუძნების პირობების შესაბამისად 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე შესრულდა კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსი ЛИРА-САПР 2011 -ის საშუალებით.

თოვლის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს: 50კგძ/სმ^2

ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს: 38კგძ/სმ^2

მშენებლობის პროცესში დამკვეთის მოთხოვნით მოხდა შენობის ნაწილის გაგანიერება, კერძოდ +8,24 ნიშნულიდან ზემოთ ე-დ ღერძებში. გაგანიერების შედეგად ზედა ნაწილი გაუსწორდა ქვედა ნაწილს ერთ ხაზში. მოიხსნა ძველი მოპირკეთება. შენობა ილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

შენობის გაგანიერებამ გარკვეულწილად გაზარდა შენობის „ჰორიზონტალური სიხისტე„ შესაბამისი გათვლების საფუძველზე მშენებლობის პროცესში დამუშავდა შენობის კორექტირებული კონსტრუქციული მუშა ნახაზები რომლის მიხედვითაც ფაქტიურად განხორციელდა მშენებლობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შენობის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტებით მიღებული ცვლილებები გათვალისწინებულია პროექტირებისა და მშენებლობის სტადიაზეც და საფრთხეს არ უქმნის შენობის სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებს ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში.

შეასრულა: /შ. ქუთათელაძე/

GEORGIA "QUICK BUILD" LTD * 202462548 * საქართველო